

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი # 10

ქ. ონი

24. 10. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 21 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ვასილ მაისურაძე, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე, გიორგი მეტრეველი, მამია ყავლაშვილი, ვლადიმერ ჩლაიძე, როზა ჩალაძე, გიორგი მაისურაძე, ბესიკი მაისურაძე, გიორგი სულაძე, სერგო ლობჯანიძე, დავით მეტრეველი, დავით სხირტლაძე, სონია გუგეშაშვილი, დიმიტრი გოშაძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, აველი ორდინიძე.

არ ესწრებოდა 12 წევრი: ჯონი ბურდილაძე, შორენა რეხვიაშვილი, გოჩა მეტრეველი, ნოდარ ბურდილაძე, ირმა სტეფნაძე-იაშვილი, კესო ჩარკვიანი, გელა მეტრეველი, ღვთისავერ ბაკურაძე, ალექსანდრე ბერიშვილი, ვანო ბალაშვილი, ბექარი მაისურაძე, ანა ბაქრაძე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დიმიტრი საყვარელიძე, მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, იურიდიული განყოფილების უფროსი მარიამ გობეჯიშვილი, მერიის კულტურის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი მარინე რაზმაძე, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ონის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი ტარიელ ლობჯანიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ცხრა თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი/

2. შპს „ონის კომუნალური სამსახურის“ და შპს „მოედანი 2009-ს“ რეორგანიზაციაზე (შერწყმა, გაერთიანება) თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს. მარიამ გობეჯიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი/

3. ინფორმაცია 2019 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.
/მომხს. სერგო ლობჯანიძე-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე
მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი
დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ცხრა თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
/მომხს. თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ცხრა თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 2. შპს „ონის კომუნალური სამსახურის“ და შპს „მოედანი 2009-ს“ რეორგანიზაციაზე (შერწყმა, გაერთიანება) თანხმობის მიცემის შესახებ.
/მომხს. მარიამ გობეჯიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი შპს „ონის კომუნალური სამსახურის“ და შპს „მოედანი 2009-ს“ რეორგანიზაციაზე (შერწყმა, გაერთიანება) თანხმობის მიცემის შესახებ და აღნიშნა, რომ აღნიშნული ორგანიზაციები ცალ-ცალკე ვერ იღებენ მაქსიმალურ მოგებას. კერძოდ: შპს „მოედანი 2009-ს“ 2018 წელს საერთოდ არ მიუღია მოგება, მისი ზარალი გასულ წელს შეადგენს 10806, 25 ლარს. 2019 წლის სამი კვარტლის მონაცემებით ორგანიზაცია კვლავ წაგებაზეა. რაც შეეხება შპს „ონის კომუნალური სამსახურს“, მისი მოგება 2018 წელს შეადგენდა 6040 ლარს, ხოლო მიმდინარე წლის სამი კვარტლის მონაცემებით ორგანიზაცია მოგებაზეა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ თავისი ფუნქციების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია ორგანიზაციების გაერთიანება, რითაც დაიზოგება ფინანსური რესურსი .

შ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მერიამ მიიღო აღნიშნული ორი ორგანიზაციის გაერთიანება, რაც შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით, საუკეთესო გამოსავალია .

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 3. ინფორმაცია 2019 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.
/მომხს. სერგო ლობჯანიძე-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო ინფორმაცია 2019 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები სოფ. ღების მოსახლეობას მათთვის აქტუალურ პრობლემურ საკითხებზე ესაუბრნენ. კერძოდ, მერის პირველმა მოადგილემ დ. საყვარელიძემ მოსახლეობას გააცნო მუნიციპალიტეტში და კერძოდ, სოფ. ღებში მიმდინარე და მომავალ წელს დაგეგმილი პროექტები. მ. რაზმაძემ გააცნო სოციალური პროგრამა, პროგრამით სარგებლობის წესები და მომავალი წლისთვის დაგეგმილი სიახლეები. ტარიელ ლობჯანიძე მოსახლეობას ესაუბრა სოფლის მეურნეობის პროგრამით გათვალისწინებულ მიმდინარე და მომავალში განსახორციელებელ პროექტებზე. საკრებულოს თავმჯდომარემ და მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებმა მოსახლეობის კითხვებს უპასუხეს.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე